საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენდრო

ენდრო ქართული ენდრო (Rubia iberica)

ენდრო (Rubia), მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა, მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქები ან ნახევრად ბუჩქები. აერთიანებს 55-მდე სახეობას. გავრცელებულია ზომიერ სარტყლებში. საქართველოში ე-ს 2 სახეობა იზრდება: ქართული ანუ საღებავი ე. (R. iberica, R. tinctorum) და ამიერკავკასიური ე. (R. transcaucasica).). ქ ა რ თ უ ლ ე-ს აქვს 2 მ-მდე სიგრძის მხოხავი, დატოტვილი, ხორკლიანი ღერო, რგოლურად (4–6 ერთად) განლაგებული ფართო ლანცეტა ან ელიფსური უხეში ფოთლები და ნახევარქოლგებად შეკრებილი მოყვითალო-მომწვანო ყვავილები. იზრდება ქართლში, გარეკახეთში, გარდაბანში, ქიზიყსა და მესხეთში მთის ქვედა და შუა სარტყლის ბუჩქნარებში, მდინარეებისა და არხების ნაპირებზე, ღობეების გაყოლებაზე. ე-ს ფესვები შეიცავს წითელ საღებავს, რსაც ძველთაგანვე იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად (შუა აზიაში დღესაც იყენებენ საღებავად). მის ნაყენს ხალხ. მედიცინაში ხმარობენ კუჭის შემკვრელ და შარდმდენ საშუალებად (ადრე რაქიტის სამკურნალოდაც იყენებდნენ). ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი უ რ ე-ს მოთეთრო ყვავილები აქვს. იზრდება მხოლოდ ქიზიყში.

ლ. ხინთიბიძე